დანართი №1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სპს ლევან შავლაყაძე სპს ხონის ტექნიკური შემოქმედების გიმნაზია

შეფასების თარიღ(ებ)ი - 2022 წლის 27 - 29 ივნისი

დასკვნის წარდგენის თარიღი - 03.08.2022

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	სპს ლევან შავლაყაძე სპს ხონის ტექნიკური შემოქმედების გიმნაზია
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	244958364

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქ.ხონი
იურიდიული მისამართი	ქ. ხონი. ახალგაზრდობის ქ. N1
ფაქტობრივი მისამართი	ქ. ხონი. ახალგაზრდობის ქ. N1
საფოსტო ინდექსი	საფოსტო ინდექსი: 5900
დაწესებულების ვებ-გვერდი	Teq-gimnazia.edu.ge

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

დაწესებულების ელ-ფოსტა	teq.gimnazia1.gmail.com
დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	0(495)221882
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	გულნარა ბარაბაძე
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	577654117
ელ-ფოსტა	gulo7777@gmail.com

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 05 მაისის N455337 ბრძანება.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2022 წლის 27 - 29 ივნისი
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი)	დავით ლიპარტელიანი
წევრი (სახელი, გვარი)	ლია გრიგოლია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☒	☐
1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	**მუხლი 6/ პუნქტი ა)**	☒	☐
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	**მუხლი 6/ პუნქტი ბ)**	☒	☐
1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 6/ პუნქტი გ)**	☒	☐
1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☒	☐
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	☒	☐
1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☐	☒

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☒	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)**	☒	☐
2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)**	☒	☐
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	**მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)**	☒	☐
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	**მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)**	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☒	☐
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☒	☐
2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	☒	☐
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	☒	☐
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	☐	☒

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)**	☒	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)**	☒	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)**	☒	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)**	☐	☒
2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)**	☒	☐
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	**მუხლი 7/ პუნქტი ზ)**	☒	☐
2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	**მუხლი 7/ პუნქტი თ)**	☒	☐
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	**მუხლი 7/ პუნქტი ი)**	☒	☐
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☐	☒

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	☒	☐
3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☐	☒
3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	☒	☐
3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	**მუხლი 8/ პუნქტი დ)**	☒	☐
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	**მუხლი 8/ პუნქტი ე)**	☒	☐
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	**მუხლი 8/ პუნქტი ვ)**	☒	☐

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	*ხარვეზი*
ქვესტანდარტი	2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს	დაწესებულებას არ აქვს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად შემუშავებული წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. კერძოდ მათ მიერ შემუშავებული დოკუმენტი არ იყო შეთანხმებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	*ხარვეზი*
ქვესტანდარტი	3.2. სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.	სკოლის თანამშრომლებს არ აქვთ წარმოდგენილი ნასამართლეობის და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები.

VI. რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	*რეკომენდაცია*
ქვესტანდარტი	2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია / ლაბორატორიები.	გამოიყოს და მოეწყოს სივრცე, სადაც შესაძლებელი იქნება საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნებში რეალური ექსპერიმენტების ჩატარება.
	2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: ბ)	დაწესებულებამ განაახლოს ევაკუაციის გეგმები, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	სკოლა თანამშრომლობს Junior Achievement-თან. თანამშრომლობის ფარგლებში მოსწავლეები შეისწავლიან მეწარმეობის საფუძვლებს. მოსწავლეებს შექმნილი ჰქონდათ საწარმო, რომლის ფარგლებშიც დაამზადეს ხელნაკეთი ნივთები და წარადგინეს გამოფენა-გაყიდვაზე. სკოლა ასევე ხშირად არის მათემატიკის ოლიმპიადის ორგანიზატორი, ხონის რაიონში. სკოლის მასწავლეებს და მასწავლებლებს აქვთ არაერთი წარმატება STEM მიმართულებებში. მაგ. ახალგაზრდა მეცნიერთა კონკურსში მოპოვებული აქვთ მესამე ადგილი მზის პანელით ელ. ენერგიის მისაღებად ენერგიის დანაკარგის შემცირებისათვის მოძრავი მზის პანელის შექმნისთვის. ასევე კონკურსში „ლეონარდო და ვინჩი“ მონაწილეობისათვის და ა.შ. სკოლაში შექმნილია მშობელთა კომიტეტი, რომელიც დაკომპლექტებულია კლასის მოსწავლეების მშობლებისგან (თითოეული კლასიდან ერთი მშობელი). კლასის მშობელს შეუძლია მიმართოს მშობელთა კომიტეტს მისთვის მნიშვნელოვანი საკითხის განსახილველად. მშობელთა კომიტეტში განიხილება სკოლისათვის მნიშვნელოვანი საკითხებისკოლის ადმინისტრაციასთან ერთად.

დაწესებულების მისია	**სკოლის მისიაა:** *აღზარდოს მაღალი მოქალაქეობრივი ღირებულების მქონე ადამიანი, საზოგადოებას მისცეს გონებრივად და ფიზიკურად აღზრდილი ახალგაზრდა, რომლის ცნობიერება დაემყარება ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებს, გაცნობიერებული ექნება საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობანი. სკოლის მიერ აღზრდილ ადამიანს ექნება თეორიული ცოდნის*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	პრაქტიკულად განხორციელების, ზნეობრივი პრინციპებითა და დამოუკიდებლად ცხოვრების უნარი. სკოლა ახორციელებს სასწავლო სააღმზრდელო პროცესის წარმართვას ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, რომლის ცენტრში დგას თითოეული მოსწავლე და ყველაფერი კეთდება მისი ნიჭის და შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენისა და განათლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის. სკოლა მისიის განსახორციელებლად ნერგავს თანამედროვე სასწავლო ტექნოლოგიებს, რისთვისაც დაწყებითი საფეხურზე მოსწავლე საგანთა თანამიმდევრული სწავლა-სწავლების გზით ახდენს გონებრივ, ფიზიკურ, ემოციურ და სოციალურ განვითარებას. საბაზო საფეხურზე მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის კონსტრუირებას და ინდივიდუალური ინტერესებისა და მიდრეკილებების გამოვლენას. რაც საშუალო საფეხურზე საშუალებას მისცემს გახდეს მოაზროვნე, მაძიებელი, ახლის შემოქმედი, წიგნიერი, ინფორმირებული და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქე, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება, საკუთარი მიღწევების გამოყენება ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად. **სკოლის ხედვაა:** სპს ლევან შავლაყაძე სპს ხონის ტექნიკური შემოქმედების გიმნაზია არის ეფექტური, უსაფრთხო, წამახალისებელი, სულიერი გარემო, სადაც მიმდინარეობს უწყვეტი სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი განათლება არის თანაზიარი პასუხისმგებლობა მოსწავლებს, მათ ოჯახებსა და სასკოლო საზოგადოებას შორის; ყველა მოსწავლეს შეუძლია მიიღოს განათლება და კარგად ისწავლოს. სკოლა ამზადებს მოსწავლეებს იმისათვის, რომ ისინი იყვნენ წარმატებული ადამიანები; სკოლა სწავლა-სწავლების პროცესის ხელშესაწყობად იყენებს ახალ ტექნოლოგიებს, სწავლების თანამედროვე სტრატეგიებს, მეთოდებსა და რესურსებს; სკოლაში შემუშავებულია ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების მისაღწევად მოსწავლეების საჭიროებებზე ორიენტირებული და თავსებადი სასკოლო-სასწავლო გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებისათვის იმ აუცილებელი ცოდნისა და უნარების შეძენას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	რომლებიც დაეხმარებათ მათ წარმატებული მონაწილება მიიღონ კულტურის, საზოგადოებრივი, ზნეობრივი ღირებულებებისა და ტექნოლოგიების თვალსაზრისით სწრაფად ცვალებად გლობალურ პროცესებში; **სკოლის მიზანი:** სკოლის მიზანია, ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე ორიენტირებული, კულტურულ ფასეულობათა პატივისცემელი, ნებისმიერი გამოწვევის მიმართ აკადემიურად და ფიზიკურად მომზადებული, მაღალი სამოქალაქო ცნობიერების მქონე თაობის აღზრდა. შრომის მაღალნაყოფიერების, ინიციატივების, მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების, დადებითი ფსიქოლოგიური კლიმატისა და კოლექტივის ერთიანობისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა. **სკოლის ამოცანა:** დაამკვიდროს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, შექმნას უსაფრთხო გარემო, ხელი შეუწყოს მოსწავლის გონებრივ და ფიზიკურ განვითარებას. მოსწავლეს შესძინოს თვითრეალიზაციისათვის საჭირო ცოდნა და უნარები. განუხრელად იზრუნოს პედაგოგის ხარისხობრივ ზრდაზე, იყოს კონკურენტუნარიანი. ყოველ სასწავლო წელს მოახდინოს შიდა მონიტორინგი.

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	წინა ვიზიტის ფარგლებში, დაწესებულებას გაეწია რეკომენდაცია, რომ ხელით შექმნილი ევაკუაციის გეგმები შეეცვალა. დაწესებულებამ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია და 2016 წელს სახანძრო სამსახურს დაამზადებინა აღნიშნული გეგმები.

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მოსწავლეთა რაოდენობა: 280	ექსპერტი ეთანხმება ☐	აღწერა *დაწესებულებას მფლობელობაში უდასტურდება 263 ინდივიდუალური მერხი და სკამი. შესაბამისად, მოსწავლეთა კონტიგენტის მაქსიმალური რაოდენობა შეიძლება იყოს 263*
	ექსპერტი არ ეთანხმება ☒	

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სპს ლევან შავლაყაძე სპს ხონის ტექნიკური შემოქმედების გიმნაზიის 2021-2022 სასკოლო სასწავლო გეგმა და 2022- 2023 წლების სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი სრულად იზიარებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. კერძოდ, ზოგადი განათლების ყველა საფეხურისთვის საათების განაწილებას, სასწავლო გარემოს ორგანიზების პირობებსა და რეკომენდაციებს, მოსწავლეთა აუცილებელ დატვირთვას და იმ მიღწევების (უნარ-ჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალს, რომელთაც მოსწავლე უნდა ფლობდეს ყოველი საფეხურის დამთავრებისას. სკოლის მისიაც, სწორედ მოსწავლეთა პოტენციალის მაქსიმალურ გამოვლენას და განვითარებას ემსახურება. სასკოლო სასწავლო გეგმის აუცილებელ ნაწილებს შეადგენს: • გიმნაზიის მისია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა; • სასკოლო საათობრივი ბადე; • სასწავლო მასალის ჩამონათვალი საფეხურებისა და საგნების შესაბამისად, მათ შორის: გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების და საგნების მიხედვით; • ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის; • მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, ვადები და პირობები. შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმები; • სადამრიგებლო პროგრამა; • სასკოლო რესურსები; • სასკოლო გეგმის დისატანციური სწავლების ვარიანტი; • სასკოლო საათობრივი ბადე, დისტანციური სწავლების შემთხვევაში; სკოლის სასწავლო სასკოლო გეგმის მიხედვით 2021 -2022 სასწავლო წელი იწყება 15 სექტემბერს. სწავლის ხანგრძლივობა განისაზღვრება 2 სემესტრით. 2021-2022 სასწავლო წლის დაწყების თარიღია 2021 წლის 15 სექტემბერი, ხოლო დასრულების - 2022 წლის 15 ივნისი, გარდა I და XII კლასისა; 2021-2022 სასწავლო წლის პირველი სემესტრი მთავრდება 2021 წლის 29 დეკემბერს მეორე სემესტრი იწყება 2022 წლის 7 იანვარს; II – XI კლასებისთვის სასწავლო წელი დასრულდება 15 ივნისს. (I სემესტრი - 74 სასწავლო დღე; II სემესტრი - 96 სასწავლო დღე; სულ - 170 სასწავლო დღე) I კლასი სწავლას დაიწყებს 4 ოქტომბერს, დასწრებით ფორმატში, ხოლო სასწავლო წელი დასრულდება 27 მაისს. (I სემესტრი - 74 სასწავლო დღე; II სემესტრი - 84 სასწავლო დღე; სულ - 158 სასწავლო დღე) XII კლასისთვის სასწავლო წელი დასრულდება 20 მაისს. (I სემესტრი - 74 სასწავლო დღე; II სემესტრი - 80 სასწავლო დღე; სულ - 154

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სასწავლო დღე) 2021-2022 სასწავლო წლის არდადეგები და უქმე დღეები გათვალისწინებულია სკოლის მიერ შემუშავებული სასწავლო კალენდრის მიხედვით. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით პირველ კლასში გაკვეთილების ხანგრძლივობა I კლასში განისაზღვა 35 წუთით, ხოლო II-XII კლასებში 40 წუთით, გაკვეთილებს შორის შესვენება 5წთ-იანია, მეორე და მესამე გაკვეთილს შორის შესვენება კი 10 წთ. დისტანციური სწავლების დროს გაკვეთილების ხანგრძლივობა I-IV კლასებში 20 წუთია, V-VII კლასებში - 25წთ, VIII-XII კლასებში - 30 წთ. გაკვეთილები იწყება ყოველ სრულ საათზე. დისტანციური სწავლების განრიგი და საათობრივი ბადე შემუშავდა შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე. დისტანციური სწავლებისთვის სკოლამ აირჩია "Schoolbook" პლატფორმა. დისტანციური სწავლების დროს ასევე შეიძლება გამოყენებული იყოს ნებისმიერი სოციალური ქსელი (Facebook, Messenger, zoom, google meet, free conference tool). გიმნაზიაში ვიზიტის დროს წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმას თან ახლდა გრიფირებული სახელმძღვანელოების ნუსხა. მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესი სრულ თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმით წარმოდგენილ რეგულაციებთან. სასკოლო-სასწავლო გეგმა განსაზღვრავს ვადებსა და პირობებს გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენისთვის, საშემოდგომო გამოცდების ჩატარებისთვის და სხვა. გიმნაზიას აქვს შემდეგი შეფასებების ფორმები: განმავითარებელი და გამსაზღვრელი. გიმნაზიაში გამოიყენება სემესტრული ნიშანი, საერთო წლიური ნიშანი, საფეხურის ნიშანი. საერთო წლიური ნიშანი გამოითვლება საფეხურის ფარგლებში მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანის მიზნებისთვის. საერთო წლიური ნიშანი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მრგვალდება მეათედის სიზუსტით გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც ნიშანი, რომელიც მეტია 5.0-ზე და ნაკლებია 5.1-ზე მრგვალდება 5.1-მდე. საფეხურის საერთო ნიშანი მრგვალდება მეათედის სიზუსტით. ესგ–ს მოთხოვნების შესაბამისად 2021-2022 სასწავლო წლის განმავლობაში გიმნაზიაში არსებობს საგნობრივი კათედრები: • ქართული ენისა და ლიტერატურის • უცხოური ენები (ინგლისური და რუსული ენა) • ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების • საზოგადოებრივი მეცნიერებების (ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება, სამ. თავდაცვა და უსაფრთხოება, საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება) • დაწყებითი სწავლების • სპორტისა და ესთეტიკური აღზრდა (ხელოვნება, მუსიკა, სპორტი)
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო-სასწავლო გეგმა; • კათედრის დებულება; • საგნობრივი კათედრების პორტფოლიო; • ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასწავლო პროცესი გიმნაზიაში ორიენტირებულია მოსწავლეზე, გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლები, შესაძლებლობები და ინტერესები. სავალდებულო დისციპლინებთან ერთად, მოსწავლეებისთვის შეთავაზებულია დამატებითი მომსახურება წრეების ფორმით. გიმნაზიის სასწავლო პროცესის ეროვნული სასწავლო გეგმის და სტანდარტების შესაბამისად წარიმართება. გიმნაზიაში დაწყებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესი. სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში თემატურ-კალენდარულ გეგმებთან ერთად, ვხვდებით მატრიცებს, სადაც წარმოდგენილია თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები და საკვანძო შეკითხვები, კომპლექსური დავალებების ნიმუშებს. მოსწავლეებთან ინტერვიუს დროს მოსწავლეები აქტიურად საუბრობდნენ კომპლექსურ დავალებების შინაარსზე, შეფასების სქემებზე, მათი აზრით, კომპლექსური დავალება ხელს უწყობს საკითხის გაგების გაადვილებას და მიღებული ცოდნის სხვა გარემოში გამოყენებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო-სასწავლო გეგმა; • თემატურ-კალენდარული გეგმები, კომპლექსური დავალებები, თემატური მატრიცები; • ინტერვიუ სკოლის პედაგოგებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეებს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. როგორც უკვე აღინიშნა, ამისთვის სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს დამატებით სავალდებულო მომსახურებას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	კერძოდ, სკოლაში მუშაობს მეწარმეობისა და მათემატიკის წრეები. მოსწავლეები მონაწილეობას ღებულობენ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, კერძოდ, მათ მონაწილეობა მიიღეს პროექტში „ლეონარდო და ვინჩი“ და გავიდნენ ფინალში. ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება სასკოლო-სასწავლო გეგმით. კერძოდ, დოკუმენტი აღწერს იმ მექანიზმებს, რომელიც სკოლამ უნდა განახორციელოს სსსმ მოსწავლის იდენტიფიცირებისათვის. სასკოლო-სასწავლო გეგმა ადგენს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე შესაბამისი კლასის დამთავრებისთვის მოსალოდნელ სასწავლო შედეგებს, მათ მისაღწევად განსაზღვრულ სწავლების სტრატეგიასა და დამატებით საშუალებებს/ღონისძიებებს - შესაბამისი სასწავლო გარემოს შესაქმნელად გასატარებელ ზომებს. სასკოლო-სასწავლო გეგმის დანართად წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში. ამ ეტაპზე, გიმნაზიაში სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლე არ ირიცხება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო-სასწავლო გეგმა; • ინტერვიუ მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით მოსწავლის შეფასების მიზანს წარმოადგენს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვა და კონტროლი. მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება არის ხშირი და მრავალმხრივი, რაც ხელს უწყობს: მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას, მათი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შესაძლებლობების გამოვლენას, სხვადასხვა პოტენციალის მქონე მოსწავლეთათვის თანაბარი პირობების შექმნას. მოსწავლე შეფასდება სხვადასხვა ფორმებით (ესსე, პროექტის მომზადება, კომპლექსური დავალებები, ზეპირი გამოსვლა, ექსპერიმენტის ჩატარება, ცდის ჩატარება, წარმოდგენა, წერითი, ფერწერული ან სხვა ტიპის ნამუშევარი, არგუმენტირებული მსჯელობადა სხვ.). 2022 -2023 სასწავლო წელს მოწოდებული სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის მიხედვით მოსწავლეთა შეფასებისთვის იწყებენ სოლო ტაქსონომიის გამოყენებას. I-VI კლასებში საშინაო დავალების კომპონენტში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება. I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება. V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასება. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, თითოეული საგნისათვის განსაზღვრულია სემესტრის განმავლობაში ჩასატარებელი შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო მინიმალური რაოდენობა. შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება. სასკოლო-სასწავლო გეგმის დანართად წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები კათედრების მიხედვით. სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტებში წარმოდგენილია შემაჯამებელი დავალებების მათ შორის კომპლექსური დავალების შეფასებისა და ანალიზის ფორმები, რომელსაც თითოეული კათედრა ადგენს საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე. წლის განმავლობაში ჩატარებული შემაჯამებელი წერების ანალიზი ხდება პედაგოგის მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო-სასწავლო გეგმა; • შეფასების სქემები და რუბრიკები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• საგნობრივი კათედრის პორტფოლიოები ; • შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმა; • ინტერვიუ სკოლის მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი მოცემულია მშობლის ხელშეკრულებაში (მუხლი 7. კომუნიკაციის წესი). წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მხარეების მიერ გასაგზავნი შეტყობინებები მიწოდებულ იქნება ფოსტის, ელექტრონული ფოსტის ან ხელშეკრულებაში მითითებული საკონტაქტო მონაცემებზე გაგზავნის მეშვეობით. დირექტორის მიერ მშობლის სკოლაში დაბარების შემთხვევაში მშობელი ვალდებულია გამოცხადდეს სკოლაში და მიიღოს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მოსწრების, ქცევის ან მოსალოდნელი ცვლილების შესახებ (მშობლის ხელშეკრულება მუხლი 7-3). მშობლები ინტერვიუირებისას ადასტურებენ, რომ სკოლა ღიაა მათთვის და მათთან ურთიერთობა ხორციელდება როგორც ინდივიდუალურ და ჯგუფურ შეხვედრებზე, ასევე, სატელეფონო კავშირით, ელექტრონული ფოსტით, წერილის სახით ან ელექტრონული ჟურნალის(SchoolBook) დახმარებით . აღსანიშნავია, რომ სკოლაში შექმნილია მშობელთა კომიტეტი, რომლის მიზანია სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა აქტიური ჩართულობა, მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და მოტივაციის გაზრდა, მშობლისათვის დახმარების გაწევა შვილის აღმზრდელობით საქმიანობაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შინაგანაწესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• სკოლის ვებ. გვერდი და სოციალური ქსელის Facebook-ის შესაბამისი გვერდი; • ელექტრონული ჟურნალი; • ინტერვიუ მშობლებთან და პედაგოგებთან, მოსწავლეებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	გიმნაზიაში შემუშავებულია დოკუმენტი, სახელწოდებით ,,სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი“, რომლის საფუძველზე მუდმივად მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროცესის დიაგნოსტირება და სასკოლო-სასწავლო გეგმის და სწავლების ხარისხის შეფასება. გიმნაზიაში სწავლისა და სწავლების ხარისხის მონიტორინგის მიზნით ტარდება მოსწავლეთა, მშობელთა და პედაგოგთა გამოკითხვა, გაკვეთილების შეფასება-ანალიზი. საბოლოო ჯამში იქმნება SWOT ანალიზი, რომელიც ადგენს განვითარდა თუ არა გიმნაზია, რა პრობლემები გადაიჭრა, განვითარების რა პერსპექტივები და საფრთხეები არსებობს და ა.შ. გიმნაზიის ადმინისტრაციამ წარმოადგინა მოსწავლეებისათვის და მშობლებისთვის განკუთვნილი კითხვარები, რომლებიც იკვლევენ მიზნობრივი ჯგუფების საჭიროებებს, არსებულ გამოწვევებს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 2021-2022 სასწავლო წელს ჩატარებული კითხვარები უფრო სტატისტიკურ ხასიათს ატარებს და ზოგიერთ შემთხვევაში ძნელი გასარკვევია რა პრობლემის გადაჭრას ემსახურება მიღებული მონაცემები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ,,სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი“, • კათედრების დებულება და პორტფოლიოები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან, მოსწავლეებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	
რჩევები:	
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებას იჯარით აქვს აღებული 750 კვ.მ ფართი ა(ა)იპ ხონის ახალგაზრდა ტექნიკოსთა სახლისაგან, რომლის შენობა-ნაგებობის საერთო ფართია 1785.2 კვ.მ. სკოლა განთავსებულია შენობის სამივე სართულზე. სკოლაში არის 12 საკლასო ოთახი, საკონფერენციო დარბაზი, ექიმის კაბინეტი, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, საგამოფენო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დარბაზი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის განკუთვნილი ხელსაწყოებისა და თვალსაჩინოებების შესანახად გამოყოფილი სივრცე. სკოლას გააჩნია ეზო, რომელიც შემოღობილია. ამავე შენობით სარგებლობს ა(ა)იპ - ახალგაზრდა ტექნიკოსთა სახლი, რომელიც დღის მეორე ნახევარში წარმართავს საწრეო მუშაობებს. დაწესებულებამ წარმოადგინა შეთანხმება მასსა და ა(ა)იპ - ტექნიკოსთა სახლს შორის, რომლის მიხედვითაც ეს უკანასკნელი საწრეო მეცადინეობებს წარმართავს 15:00-დან.
ფაქტობრივი მისამართი	ხონი ახალგაზრდობის ქუჩა N1
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	კოდი N 37.07.38.020
კვ.მ.	750 კვ. მ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები	• იჯარის ხელშეკრულება • ვიზუალური დათვალიერება • შენობის შიდა აზომვითი ნახაზი
შეფასება	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არსებულ 12 საკლასო ოთახში განთავსებულია 263 ცალი მოსწავლის ინდივიდუალური მერხი და სკამი. საკლასო ოთახებში ასევე არის მასწავლებლის მაგიდა და სკამი. ცარცის დაფები. ოთახები გაფორმებულია კლასის ასაკის შესაბამისი თვალსაჩინოებებით. აღსანიშნავია, რომ კლასების ფართობი საკმაოდ დიდია. იგი იძლევა საშუალებას, განთავსდეს არა მხოლოდ მოსწავლეთა მერხები, არამედ კლასშივე მოეწყოს მოსწავლეებისათვის სხვადასხვა სივრცე. საკლასო ოთახში ერთ მოსწავლეზე გამოდის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დაახლოებით 2კვ.მ. საკლასო ოთახებს აქვთ ბუნებრივი განათების შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, 2022-2023 სასწავლო წლისათვის იგეგმება დამატებითი მასალების შეძენა საჭიროებების გათვალისწინებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• დაწესებულების წარმომადგენელთან ინტერვიუ • ვიზუალური დათვალიერება • შესყიდვების, ჩუქების და მომსახურების გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას გააჩნია ღია სპორტული მოედანი მინიფეხბურთის და ფრენბურთის თამაშებისათვის. გიმნაზიაში ასევე არის მაგიდის ჩოგბურთის მაგიდა შესაბამისი ინვენტარით. სკოლას ასევე აქვს სხვადასხვა სპორტული ინვენტარი. სკოლას არ გააჩნია საკუთარი სპორტული დარბაზი, თუმცა დაწესებულება თანამშრომლობს ხონის ტარიელ ჯაფარიძის სახელობის N13 კომპლექსურ სასპორტო სკოლასთან, რომელიც ესაზღვრება გიმნაზიას. შეთანხმების ფარგლებში, სკოლა, სპორტის გაკვეთილების ჩასატარებლად, სარგებლობს ზემოაღნიშნული დაწესებულების სპორტული დარბაზითა და გასახდელებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სპორტული ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; • მოსწავლეებთან ინტერვიუ; • დაწესებულების წარმომადგენელთან ინტერვიუ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• ა(ა)იპ ხონის კომპლექსური სასპორტო სკოლის დირექტორის ნებართვა. • ვიზუალური დათვალიერება
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს ლაბორატორიული აპარატურით და ინვენტარით აღჭურვილი ქიმიის, ფიზიკის და ბიოლოგიის ლაბორატორია. ლაბორატორიის კომპლექტში შემავალი ხელსაწყოები და თვალსაჩინოებები დიდწილად აკმაყოფილებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 09 აგვისტოს N572 ბრძანებას. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით სკოლა აქტიურად იყენებს CK12 პლატფორმას, რაც უზრუნველყოფს არსებული დანაკლისის შევსებას. ოთახში სადაც არის განთავსებული ლაბორატორია, დამონტაჟებულია ნიჟარა გამდინარე წყლით, თუმცა ეს ოთახი ვერ უზრუნველყოფს იქვე ექსპერიმენტების ჩატარებას, მისი სიმცირის გამო. დაწესებულების ხელმძღვანელის განცხადებით, ექსპერიმენტები ტარდება საკლასო ოთახებში და საჭიროების შემთხვევაში, როგორც უკვე აღინიშნა, ხდება ვირტუალური ლაბორატორიის გამოყენება. დაწესებულებას, შენობის მესამე სართულზე აქვს საკმაო სივრცე, რომლის ნაწილი შეიძლება გამოყენებული იყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიად, რაც უზრუნველყოფს არამხოლოდ ვირტუალური, არამედ ისეთი რეალური ექსპერიმენტების ჩატარებას, რომელიც ამ ეტაპზე შესაძლოა მხოლოდ ვირტუალურად ჩატარდეს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით. • ლაბორატორიის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის ელექტრო ენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა. სკოლას მიეწოდება წყალი. სველი წერტილები განთავსებულია სკოლის ეზოში. შენობაში არის ერთი სველი წერტილი, რომელიც ამავე დროს არის ადაპტირებული ეტლით მოსარგებლე ადამიანისთვის. სკოლასა და ა(ა)იპ - ახალგაზრდა ტექნიკოსთა სახლს შორის გაფორმებულია შეთანხმება, რომლის მიხედვითაც სკოლას აქვს უფლება ისარგებლოს ელ. ენერგიით თუმცა მის საფასურს გადაიხდის ტექნიკოსთა სახლი, ხოლო სკოლა გადაიხდის სატელეფონო და ინტერნეტის მომსახურებებს, ახალგაზრდა ტექნიკოსთა სახლს კი ექნება უფლება ისარგებლოს ამ სერვისით. რაც შეეხება წყლის გადასახადს, ორივე დაწესებულება გადაიხდის დამოუკიდებლად. ყველა საკლასო ოთახი არის ნათელი რაც უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით. სკოლა გათბობის საშუალებად იყენებს შეშის ღუმელებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება. • გადახდის ქვითარი; • ღუმელების ჩუქების ხელშეკრულებები; • ურთიერთშეთანხმება სკოლასა და ა(ა)იპ - ახალგაზრდა ტექნიკოსთა სახლს შორის.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის ბიბლიოთეკა წიგნადი ფონდით, რომელიც მოიცავს: სასკოლო სახელმძღვანელოებს, განათლების სამინისტროს მეთოდურ გამომცემლობებს და მხატვრულ ლიტერატურას. შემთხვევითი შერჩევით შერჩეული წიგნების შემოწმებისას დადგინდა, რომ სკოლაში წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის დაცვით, მინიჭებული აქვს ნომერი, ბეჭედი დარტყმულია 1-ელ და მე-17 გვერდებზე. ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. დაწესებულების ხელმძღვანელმა ასევე წარმოადგინა მკითხველის ბარათები. მისივე განცხადებით, მოსწავლეები ასევე სარგებლობენ ა(ა)იპ - ხონის მთავარი ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით. სასკოლო ბიბლიოთეკის ფართობიდან გამომდინარე, იგი ვერ იქნება გამოყენებული როგოც სამკითხველო, მას შეუძლია შეასრულოს საცავის ფუნქცია. დაწესებულების მესამე სართულზე არსებული ფართი, იძლევა შესაძლებლობას იქ განთავსდეს ბიბლიოთეკა და მოეწყოს სამკითხველო დარბაზი. დაწესებულების ხელმძღვანელის თქმით, ისინი გამოიყენებენ ამ შესაძლებლობას და ახლო მომავალში ბიბლიოთეკას გადაიტანენ მესამე სართულზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • საინვენტარიზაციო წიგნი • წიგნადი ფონდი;. • ბიბლიოთეკის დებულება; • ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები; • დაწესებულების ხელმძღვანელთან გასაუბრებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის. შენობაში არსებული სველი წერტილი ადაპტირებულია ეტლით მოსარგებლე პირებისათვის. ყველა სართულამდე დამონტაჟებულია ხის ასაკეცი პანდუსები (ვიზიტის დროს პანდუსები განლაგებული იყო კიბეებზე. მიმდინარეობდა სამუშაოები, რომ მოხერხებულიყო მათი აკეცვა, როდესაც მათი საჭიროება არ იქნებოდა). დაწესებულებაში არის რესურს-ოთახი სსსმ მოსწავლეებისათვის. ასევე სხვადასხვა წიგნები და თვალსაჩინოებები, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს საჭიროების შემთხვევაში. ვიზიტის დროს სკოლაში სსსმ მოსწავლე არ ირიცხებოდა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს ვებ-გვერდი **Teq-gimnazia.edu.ge**, სადაც განთავსებულია სკოლის დოკუმენტაცია, ახალი ამბები, ფოტო და ვიდეო გალერეა. ვებ-გვერდზე პერიოდულად იდება სიახლეები. გარდა ვებ-გვერდისა, საკომუნიკაციო საშუალებად სკოლა იყენებს სოციალურ ქსელს Facebook-ს, სადაც ასევე განთავსებულია სკოლაში მიმდინარე სხვა და სხვა პროცესების შესახებ ინფორმაცია. სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები: ინტერნეტით უზრუნველყოფილი კომპიუტერები: 11

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	პერსონალური კომპიუტერი, 5 ლეპტოპი, 1 პროექტორი, რადიოფიცირების მოწყობილობა, 1 პლაზმური ტელევიზორი და სხვა. სკოლას ასევე გააჩნია ელ. ფოსტა, რომელიც ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას. მოსწავლეების და მშობლების ინფორმირებისათვის სკოლა ასევე იყენებს SchoolBook-ს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება. • შესყიდვის და ჩუქების დოკუმენტაცია
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოებისა დაცვის მიზნით სკოლაში არსებობს ხანძარსაწინააღმდეგო სტენდი შესაბამისი ინვენტარით, სართულებზე განთავსებულია ცეცხლმაქრები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შენობაში გამოკრულია ევაკუაციის გეგმები, რომელიც შექმნილია სახანძრო სამსახურის მიერ 2016 წელს. აღნიშნულ გეგმებზე არ იყო მონიშნული „თქვენ იმყოფებით აქ“, რაც ართულებდა გეგმის წაკითხვას. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია განეახლებინა ევაკუაციის გეგმები თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ მიმართა იმერეთის სახანძრო დაცვას თხოვნით, რომ განეახლებინათ საევაკუაციო გეგმები. დაწესებულების ხელმძღვანელის თქმით, შემუშავებული საევაკუაციო გეგმები, წარმოდგენილი იქნება საბჭოს სხდომაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • დაწესებულების ხელმძღვანელთან გასაუბრება; • დაწესებულების 2022 წლის 27 ივნისის წერილი შპს იმერეთის სახანძრო დაცვის უფროსისადმი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შენობის პირველ სართულზე, მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრული სამედიცინო კაბინეტის აღჭურვილობით. COVID პანდემიის პერიოდში ფუნქციონირებადი „დაყოვნების ოთახი“ აღჭურვილი სამედიცინო ინვენტარით. კანონმდებლობის შესაბამისი (ნებადართული) მედიკამენტებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება • სამედიცინო-სანიტარული კაბინეტის გამოყენების ჟურნალი და დებულება
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სპს ლევან შავლაყაძე სპს ხონის ტექნიკური შემოქმედების გიმნაზიაში უსაფრთხოების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები“. 2020 წლის 17 იანვარს, დაწესებულებამ აღნიშნული დოკუმენტი შესათანხმებლად გაგზავნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში. ამავე წლის 11 მარტს, დაწესებულებამ სამინისტროსგან მიიღო 7 პუნქტიანი რეკომენდაციები. როგორც დაწესებულების ხელმძღვანელი აღნიშნავს მათ განხორციელებული ცვლილებები აღარ შეუთანხმებიათ სამინისტროსთან. ექსპერტთა რეკომენდაციით დაწესებულებამ ვიზიტის მიმდინარეობისას კვლავ გააგზავნა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, შეცვლილი დოკუმენტი. დაწესებულებას გაეწია რეკომენდაცია, რომ სხვა და სხვა უწყებებთან შესათანხმებელ დოკუმენტაციასთან დაკავშრებით, მანამდე იქონიოს მიმოწერა, სანამ მათგან თანხმობის პასუხი არ იქნება და არ მიიღწევა საბოლოო შეთანხმება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გაგზავნილი წერილები; • საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან მიღებული წერილი; • „სპს ლევან შავლაყაძე სპს ხონის ტექნიკური შემოქმედების გიმნაზიაში უსაფრთხოების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები“.
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას გააჩნია ვიდეომეთვალყურეობის 9 კამერა, მათ შორის 5 გარე პერიმეტრზე, ხოლო 4 შენობის შიდა სივრცის გასაკონტროლებლად. ვიდეკამერების აღნიშნული რაოდენობა ვერ უზრუნველყოფდა სკოლის შიდა სივრცის სრულ მეთვალყურეობას, კიბის უჯრედების კონტროლი შეუძლებელი იყო. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ დაამატა 4 შიდა კამერა, რომლებიც განთავსდება ისეთ ადგილას, რომ შესაძლებელი იყოს კიბის ყველა უჯრედის გაკონტროლება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება • ვიდეოკამერების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი შინაგანაწესი, დებულება და წესდება. დაწესებულების წესდება შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლის შინაგანაწესი, სკოლის თანამშრომელთა სამსახურებრივი ინსტრუქცია, სკოლის დისციპლინარული საბჭოს დებულება, პედაგოგიური საბჭოს დებულება, სკოლის ხარისხის მართვის დებულება, კათედრების დებულება, მშობელთა სათათბიროს დებულება, სკოლის საქმიანობის წარმართვა და დაგეგმვა ხორციელდება სკოლის საბჭოსთან შეთანხმებით, ადმინისტრაციისა და პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით. სკოლაში შექმნილია შემდეგი დოკუმენტები სათანადო დოკუმენტები დამტკიცებულია: 1. სკოლის წესდება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	2. შინაგანაწესი; 3. ბრძანებები. 4. სკოლის დისციპლინური საბჭოს დებულება; 5. მშობელთა სათათბიროს დებულება; 6. სკოლის ხარისხის მართვის დებულება; 7. პედაგოგიური საბჭოს დებულება; 8. ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისას სამოქმედო გეგმა ; 9. კათედრების დებულება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს განვითარების ექვსწლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. დაწესებულების ხელმძღვანელის განცხადებით, გეგმის შემუშავება ხორციელდება სკოლის მიღწევების, სამოქმედო მექანიზმების, რისკების, სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით (SWOT ანალიზის საფუძველზე) სკოლის გეგმებში გათვალისწინებულია სკოლის მოსწავლეთა სასწავლო პირობების გაუმჯობესება, კადრების რეკრუტირება, სკოლის მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება და სკოლის საქმიანობის განვითარება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • დაწესებულების ხელმძღვანელთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში მიმდინარეობს გამოცემული აქტების და კორესპონდენციის აღრიცხვა. სკოლის საქმეთა მმართველი ახდენს: • სკოლის მიერ გამოცემული აქტების აღრიცხვას • შემოსული და გასული კორესპონდენციის, მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების, ბრძანებების, ჟურნალების, მოსწავლე–მასწავლებელთა და ტექნიკური პერსონალის პირადი საქმეების რეგისტრაცია-დალაგებას • სასწავლო წლის განმავლობაში ინფორმაციის დალაგებას • ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალის, ანბანური ჟურნალის წარმოებას. ზემოაღნიშნულის მისაღწევად სკოლაში არსებობს: შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი, გასული დოკუმენტაციების რეგისტრაციის ჟურნალი, შემოსული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალი, საერთო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი, საკადრო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

რეკომენდაციები:	სხვადასხვა უწყებებთან შესათანხმებელ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით, დაწესებულებამ მანამდე იქონიოს მიმოწერა, სანამ მათგან თანხმობის პასუხი არ იქნება და არ მიიღწევა საბოლოო შეთანხმება.
რჩევები:	
ხარვეზები:	დაწესებულებას არ აქვს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად შემუშავებული წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. კერძოდ მათ მიერ შემუშავებული დოკუმენტი არ იყო შეთანხმებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. შესაბამისად დარღვეულია სტანდარტის 2.6 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.
სტანდარტის შეფასება	☐ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ სტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალების მიხედვით, სკოლაში სწავლა სწავლების პროცესს ახორციელებს 23 მასწავლებელი. სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისათვის სკოლას ასევე ჰყავს: დირექტორი, დამლაგებელი, ბიბლიოთეკარი, ბუღალტერი, საქმის მწარმოებელი ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი. მასწავლებელთა ნაწილთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლებიც ძალაში შედის 2022 წლის 1-ლი სექტემბრიდან (11 მასწავლებელი). მასწავლებელთა დანარჩენ ნაწილს არ აქვს მასწავლებელთა პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით განსაზღვრული რომელიმე სტატუსი. სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, მათი ხელშეკრულება იწურება 2022 წლის 31 აგვისტოს. ახალი ხელშეკრულებები გაუფორმდა მხოლოდ იმ მასწავლებლებს, რომლებსაც სქემით გათვალისწინებული უფროსი მასწავლებლის სტატუსი აქვთ ან სკოლამ გადაწყვიტა, რომ მოწვეულ მასწავლებლად ჰყოლოდა. დანარჩენი მასწავლებლების პოზიციებზე სკოლამ გამოაცხადა ვაკანსიები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	23
მოწვეული/მაძიებელი	3
პრაქტიკოსი მასწავლებლი	12
უფროსი მასწავლებლი	8
წამყვანი მასწავლებლი	0
მენტორის სტატუსი	0

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	როგორც უკვე აღინიშნა, სკოლას 2021-2022 სასწავლო წლის განმავლობაში ჰყავდა 23 მასწავლებელი. მათგან 8 არის უფროსი მასწავლებელი, 3 მაძიებელი მასწავლებელი, ხოლო 12 მასწავლებელს სტატუსი არ აქვს მინიჭებული. ექსპერტები დავინტერესდით თუ რატომ არ ჰქონდა 12 მასწავლებელს სტატუსი მინიჭებული და როგორ მოხდა, რომ სტატუსის არ მქონე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მასწავლებლები ასწავლიან სკოლაში. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, მათი ნაწილი იყო პრაქტიკოსი მასწავლებელი ხოლო ნაწილი მოწვეული მასწავლებელი. პრაქტიკოსმა მასწავლებლებმა 2022 წლიდან ეს სტატუსი დაკარგეს და შესაბამისად დარჩნენ უსტატუსოდ. იმისათვის რომ სასწავლო პროცესი არ შეფერხებულიყო, აღნიშნულ მასწავლებლებს შრომითი ხელშეკრულება შეუნარჩუნდათ 2022 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით და მათ პოზიციებზე გამოცხადდა ვაკანსიები. ხოლო იმ მასწავლებლებთან, რომლებსაც სტატუსი მინიჭებული ჰქონდათ, გაფორმდა ახალი ხელშეკრულებები. აღნიშნული მასწავლებლები შერჩეულნი არიან ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, თუმცა პირადი საქმეების შემოწმების დროს აღმოჩნდა, რომ სკოლის თანამშრომლებს არ აქვთ წარმოდგენილი ნასამართლეობის და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები. დაწესებულებაში ვიზიტის პერიოდში, მასწავლებლებმა, მომსახურეების სააგენტოში გაგზავნეს მოთხოვნები აღნიშნული ცნობების მიღების მიზნით. ვიზიტის დასრულებამდე აღნიშნული ცნობების ექსპერტებისთვის წარმოდგენა ვერ მოხერხდა (ცნობების მიღებას სჭირდება 5 სამუშაო დღე). დაწესებულების ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ აღნიშნულ ცნობებს წარმოადგენდნენ შესაბამისი საბჭოს სხდომაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები • მასწავლებელთა პირადი საქმეები • დაწესებულების ხელმძღვანელთან გასაუბრება
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებას შინაგანაწესში გაწერილი აქვს თანამშრომელთა სამუშაოზე მიღების, გადაყვანის და დათხოვნის წესი, სადაც გაწერილია თანამშრომლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სამუშაოზე მიღების და გათავისუფლების პროცედურები და დოკუმენტაციის ჩამონათვალი, რომელიც კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს. აქვეა ასახული თანამშრომელთა მუშაობის დრო პირობა, შრომითი ურთიერთობების შეჩერება და შეწყვეტა, შვებულების მიცემა, მივლინება, (შვებულების მიცემის წესი, სამსახურიდან გათავისუფლების წესი, სამსახურში გამოუცხადებლობის წესი და ა.შ.) ამავე დოკუმენტში განსაზღვრულია თანამშრომელთა პასუხისმგებლობები, ასევე მასწავლებელთა, მოსწავლეთა და სხვა დასაქმებულთა დისციპლინური გადაცდომისათვის საქმისწარმოების წესი და პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შინაგანაწესი
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. როგორც ზემოთ აღინიშნა, 11 მასწავლებელთან ასევე გაფორმდა ახალი ხელშეკრულება, რომელიც ძალაში შედის 2022 წლის 1-ლი სექტემბრიდან. 2021-2022 სასწავლო წელს მომუშავე მასწავლებლების ხელშეკრულებებში, არ იყო მითითებული მასწავლებლის სტატუსი და სტატუსის შესაბამისი ვალდებულებები. ზემოაღნიშნულ 11 მასწავლებელთან გაფორმებულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ხელშეკრულებებში დაზუსტებულია როგორც მასწავლებლის სტატუსი, ასევე სტატუსის შესაბამისი ვალდებულებები. დაწესებულების ხელმძღვანელის თქმით, ყველა მასწავლებელთან გაფორმდება მსგავსი ხელშეკრულებები, როდესაც მოხდება მათთან კონტრაქტების გაფორმება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები; • თანაშრომელთა პირადი საქმეები. • დაწესებულების ხელმძღვანელთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მასწავლებელთა ნაწილი ჩართულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში (11 მასწავლებელი, რომლებთანაც გაფორმდა ხელშეკრულება 2022-2023 წლისათვის). დაწესებულება თანამშრომლობს ახალი სკოლის მოდელთან, როგორც მოწვეული სკოლა. თანამშრომლობის ფარგლებში მასწავლებლები გადიან გადამზადებას. გარდა ამისა მასწავლებლები ჩართულნი არიან მასწავლებლის სახლის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში. სკოლა სისტემატიურად აწვდის ინფორმაციას მასწავლებლებს ტრენინგების შესახებ. აქტიურად მუშაობენ მასწავლებლები კათედრებზე. ხდება პედაგოგთა ურთიერთდასწრებები, ურთიერთშეფასება და ურთიერთსწავლება. ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა კათედრების პორტფოლიოები და ხარისხის მართვის მექანიზმები. დოკუმენტაციის შემოწმებსი შედეგად დადგინდა, რომ ხდება გაკვეთილებზე დასწრება და მასწავლებლების მიერ ჩატარებული გაკვეთილების შეფასება. დოკუმეტაციაში ასევე იყო დაკვირვების შედეგად გამოლენილი მასწავლებლების მიერ ჩატარებული გაკვეთილების ძლიერი და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გასაუმჯობესებელი მხარეები. ძირიტადი გასაუმჯობესებელი მხარეები იყო მასწავლებელთ ამიერ მოსწავლეთა შეფასებიზ მექანიზმები. აღნიშნული დადასტურდა მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან ინტერვიუს დროსაც. სკოლა გეგმავს, რომ აღნიშნული მიმართულების გაიარონ მასწავლებლებმა პროფესიული გადამზადება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მასწავლებელთა სერტიფიკატები; • სქემაში ჩართულ მასწავლებელთა რეესტრი; • მასწავლებლებთან და სკოლის წარმომადგენელთან გასაუბრება
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. მასწავლებლების განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ არ არის სკოლაში მაღალი ანაზღაურება (სწავლის საფასური ერთი მოსწავლისთვის თვის განმავლობაში შეადგენს 20 ლარს), მათ სწორედ სკოლაში არსებული მზრუნველი და კეთილგანწყობილი გარემო მოსწონთ. მათი თქმით, სკოლა აძლევს რეალიზების შესაძლებლობას რაც მათთვის მნიშნელოვანი ფაქტორია, აღნიშნულ სკოლაში სამუშაოდ. სკოლის მხრიდან მზრუნველ და პოზიტიურ გარემოზე საუბრობდნენ მოსწავლეებიც და მათი მშობლებიც. მათთვის სკოლაში არსებული მზრუნველი და უსაფრთხო გარემო უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სკოლის ინფრასტრუქტურა. მოსწავლეები კმაყოფილნი არიან მათთვის მიცემული შესაძლებლობებით და სკოლის თანამშრომელთა კეთილი დამოკიდებულებით. რაც ცალკე საუბრებში ასევე დაადასტურეს მოსწავლეთა მშობლებმა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო დოკუმენტაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• მასწავლებლებთან გასაუბრება • მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან გასაუბრება • სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრება • სკოლის ვიზუალური დათვალიერება
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	თანამშრომელთა სამუშაოზე აყვანის წინ, დაწესებულებამ მოითხოვოს კანონმდებლობის შესაბამისი დოკუმენტაცია.
რჩევები:	
ხარვეზები:	სკოლის თანამშრომლებს არ აქვთ წარმოდგენილი ნასამართლეობის და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები, შესაბამისად დარღვეულია 3.2 პუნქტი - *„სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად".*
სტანდარტის შეფასება	☐ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ სტანდარტი დარღვეულია

XI. თანდართული დოკუმენტაცია

ქ. თბილისი 03.08.2022წ.

გვერდების რაოდენობა - 39

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.